საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლეჟავა გელა გიორგის ძე

ლეჟავა გელა გიორგის ძე (დ. 1. IX. 1936, ბათუმი), ნარკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (2000), საქართვ. სამედ.- ბიოლ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1994).

1960 დაამთავრა თსსი. 1960–73 იყო კლინიკური და ექსპერ. ნევროლოგიის სამეც.-კვლ. ინ-ტის თავდაპირველად უმცროსი, შემდეგ კი უფრ. მეცნიერი თანამშრომელი; 1973–78 მუშაობდა საქართვ. კომპარტიის ცკ-ში სხვადასხვა თანამდებობაზე; 1978–86 იყო საქართვ. ჯანდაცვის მინისტრი; 1986–93 – იყო მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ნარკოლოგიის სამედ.-ბიოლ. პრობლემათა განყ-ბის გამგე; 1993–2001 – ნარკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი; 2001–08 – ამავე ინ-ტის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე; 2008–11 – დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანდაცვის ეროვნ. ცენტრის ინფორმაციის და ნარკოლოგიური პროგრამების კოორდინატორი. 2012-იდან მუშაობს შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიებეის ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: საზოგადოებრივი ჯანდაცვა საბჭოთა საქართველოში, თბ., 1984; ნარკოლოგია, თბ., 2001; ნარკომანია. ფენომენის ანალიზი, თბ., 2003; Электрофизиологическое исследование механизмов привыкания зрительной системы, Тб., 1968.